ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 482

"13" სექტემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ალექსანდრე გობრონიძის ჩიხისთვის და ქობის ჩიხის ორი მონაკვეთისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მაშველის გიორგი მარგიანის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, ალექსანდრე გობრონიძის ჩიხის მონაკვეთს მიენიჭოს გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მაშველის გიორგი მარგიანის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. გლდანის რაიონში, ქობის ჩიხის ორ მონაკვეთს მიენიჭოს გიორგი მარგიანის I ჩიხის და I გასასვლელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. გლდანის რაიონში, ალექსანდრე გობრონიძის ჩიხის ორ მონაკვეთს მიენიჭოს გიორგი მარგიანის II და III ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე


X:484947 Y:4626104
X:485063 Y:4626103
გიორგი მარგიანის ქ.
I გას.
X:485011 Y:4626047
X:484947 Y:4626030
I ჩიხი
II ჩიხი
X:485064 Y:4626010
X:484975 Y:4626005
X:484957 Y:4625961
გიორგი მარგიანის ქ.
X:485015 Y:4625964
III ჩიხი
X:484991 Y:4625930
X:485008 Y:4625906